

ხელშეკრულება
ინტერნეტით მომსახურების შესახებ
(იურიდიული პირებისთვის)

სააქციო საზოგადოება "გლობალ ერთი" (შემდგომში "გლობალ ერთი"), ს/კ 201949918, იურიდიული მისამართი თბილისი, კედისა ქ. #4, ფაქტიური მისამართი თბილისი, ცოტნე-დადიანის გამზ. 7, ბიზნესცენტრი ქარვასლა, 8505/506, გენერალური დირექტორის გიორგი მაჩიტაძის სახით, ერთის მხრივ და

(შემდგომში "აბონენტი"), მეორეს

მხრივ, დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 აბონენტი უკვეთავს, ხოლო "გლობალ ერთი" უზრუნველყოფს აბონენტს შემდეგი სახის მომსახურებით:
- ინტერნეტის ქსელით სარგებლობა უწყვეტად, დღე-ღამის 24 საათის განმავლობაში;

მაქსიმალური სიჩქარე -----X მბ/წ;
მინიმალური სიჩქარე -----X მბ/წ;
ფაქტობრივად ხელმისაწვდომი სიჩქარე ----- X მბ/წ;
ჯიტერი ----- 65 მილიწამი;
დაყოვნება -----650 მილიწამი;
დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი ----- 5%

მუხლი 2. მომსახურების გაწევის წესები და პირობები

2.1. მომსახურების გაწევის წინა მოსამზადებელი სამუშაოები იწყება მხოლოდ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.
2.2. მომსახურების ხარისხის შემოწმების შემდეგ მხარეები ხელს აწერენ მიღება-ჩაბარების აქტს (დანართი 1), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების მიხედვით მხარეებს შორის ყოველთვიური ანგარიშსწორების დაწყების საფუძველს.
2.3. მომსახურების გაწევის ადგილი: _____;

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

აბონენტის უფლება-მოვალეობები:

3.1. აბონენტი უფლებამოსილია ისარგებლოს "გლობალ ერთი"-ს მიერ მოწოდებული მომსახურებით დღე-ღამის ნებისმიერ დროს, 24 საათის განმავლობაში.
3.2. აბონენტი უფლებამოსილია "გლობალ ერთისგან" მიიღოს სატელეფონო კონსულტაციები ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით 24 საათის განმავლობაში (სატელეფონო ნომერი 2 43 77 74), რომელიც შეიძლება წარმოემგვას მას ინტერნეტით მომსახურების გაწევის პროცესში და ამასთანავე სამუშაო დღეებში ისარგებლოს "გლობალ ერთი"-ს ტექნიკური სამსახურის თანამშრომლის გამოძახებით უფასოდ, თუ დაზიანება ან მომსახურების შეფერხება გამოწვეულია "გლობალ ერთი"-ს ბრალით ერთი"-ს.(იმ შემთხვევაში, თუ აბონენტის კუთვნილ ტერიტორიაზე (ქსელის ტერმინაციის წერტილიდან აბონენტის მხარეს) დაზიანება ან მომსახურების შეფერხებით მოწოდება აბონენტის ბრალულობით იქნა გამოწვეული, ტექნიკური დახმარება არის ფასიანი).
3.3. აბონენტი უფლებამოსილია მოითხოვოს მომსახურების საფასურის გადაანგარიშება, თუ "გლობალ ერთი"-ს მიერ მომსახურების მიწოდება ხორციელდება არასრულად ან ხარვეზით ან საერთოდ არ მიეწოდება და იგი ერთი კალენდარული დღის განმავლობაში აღემატება 3 საათს.
3.4. აბონენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მომსახურების დროებით შეჩერებით -დაპაუზებით, ვადით- მომსახურების დროებითი შეჩერების დღიდან არაუმეტეს 6 (ექვსი) თვისა;
3.5. აბონენტი ვალდებულია უზრუნველყოს გლობალ ერთის წარმომადგენელთა დაშვება თავის ტერიტორიაზე ქსელში ჩართვის სამუშაოების ჩასატარებლად, აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის საინსტალაციოდ.
3.6. აბონენტი ვალდებულია დროულად დაფაროს გლობალ ერთის მიერ გაწეული ინტერნეტ მომსახურების გადასახადი;
3.7. აბონენტი ვალდებულია არ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურებით სარგებლობის უფლება წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა გადასახადის გადახდის ვალდებულებისა;
3.8. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დაუბრუნოს კომპანიას მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული ტერმინალური მოწყობილობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელშეკრულების შეწყვეტიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;
3.9. მომსახურების გასაწევად გამოყენებული "გლობალ ერთი"-ს ტექნიკური მოწყობილობების დაზიანების ან/და დაკარგვის შემთხვევაში "აბონენტი" ვალდებულია გლობალ ერთს აუნაზღაუროს მათი ღირებულება სრულად 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში;
3.10. აბონენტი ვალდებულია გლობალ ერთის მომსახურების ფორმისა და ტარიფების ცვლილებების შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 20(ოცი) დღის ვადაში წერილობითი გამოხატოს მისი პოზიცია აღნიშნული ცვლილებების თაობაზე. გლობალ ერთის მიერ აბონენტისაგან აღნიშნულ საკითხზე წერილობითი პასუხის მიუღებლობა ჩაითვლება ცვლილებებზე თანხმობად.
3.11. აბონენტის მიზეზით მომხდარი ნებისმიერი დაზიანება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გლობალ ერთის მიერ აბონენტისათვის მომსახურების მიწოდების შეფერხება, არ ათავისუფლებს აბონენტს სავარაუდო მომსახურების ღირებულების გადახდისაგან.

გლობალ ერთის უფლება-მოვალეობები:

3.12. გლობალ ერთი იღებს ვალდებულებას აბონენტს მიაწოდოს ხარისხიანი მომსახურება ხელშეკრულებითა და „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტით“ (რეგლამენტით) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, უწყვეტად დღე-ღამის 24 საათის განმავლობაში, გარდა გადაუდებელი სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოების მიმდინარეობისა. გლობალ ერთი ვალდებულია წინასწარ შეათანხმოს აბონენტთან დაგეგმილი/გეგმიური ტექნიკური სამუშაოების ჩატარების დრო არანაკლებ 1 (ერთი) სამუშაო დღით ადრე, თუ ჩასატარებელი სამუშაოები იმოქმედებს სერვისის სრულყოფილად მიწოდებაზე და ამასთანავე, წინასწარ შეატყობინოს აბონენტს გადაუდებელი სამუშაოების ჩატარების თარიღი და პერიოდი, გადაუდებელი სამუშაოების ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

3.13. გლობალ ერთი ვალდებულია დაუყოვნებლივ აღმოფხვრას მომსახურებასთან დაკავშირებული დაზიანება, რომლის შესახებაც შეტყობინება გაიგზავნება შემდეგი ელ. ფოსტის მისამართზე: info@global-erty.net ან დაფიქსირდება ცხელ ხაზზე: 243 91 43, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ვერ ხერხდება ხარვეზის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა “ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ” რეგლამენტით განსაზღვრული წესითა და ვადებში.

3.14. გლობალ ერთი ვალდებულია მომსახურების თანხის გადახდისას აღუდგინოს აბონენტს მომსახურების მიწოდება არაუგვიანეს თანხის გადახდიდან 24 (საათის) განმავლობაში;

3.15. გლობალ ერთი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების სავსესტრის გადაანგარიშება 1 დღეზე, თუ მის მიერ მომსახურების მიწოდება ხორციელდება არასრულად ან/და ხარვეზებით, ან საერთოდ არ მიეწოდება და იგი ერთი კალენდარული დღის განმავლობაში აღმატება 3 საათს.

3.16. გლობალ ერთი იღებს ვალდებულებას საჭიროების შემთხვევაში აბონენტთან დაამონტაჟოს თავისი კუთვნილი ტექნიკური ტექნიკური მოწყობილობა _____ ღირებულებით _____ ლარი;

3.17. მომსახურების ღირებულების მე-4 მუხლით მოცემულ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში "გლობალ ერთი" უფლებას იტოვებს შეუზღუდოს აბონენტს მომსახურება.

3.18. გლობალ ერთს უფლება აქვს შეცვალოს მომსახურების ფორმა და ტარიფები, რის შესახებაც ვალდებულია შეატყობინოს აბონენტს არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღისა ცვლილებების განხორციელებამდე. აბონენტის ინფორმირება ხორციელდება წერილობითი (ინდივიდუალური) შეტყობინების გზით;

მუხლი 4. ანგარიშსწორების პირობები

4.1 მომსახურების ჩართვის სავსესტრის შეადგენს XX ლარს დღგ-ს ჩათვლით, რომლის გადახდაც აბონენტის მიერ იწარმოებს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (სამუშაო) სამუშაო დღის ვადაში.

4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ყოველთვიური ღირებულება (სააბონენტო გადასახადი) შეადგენს XX ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4.3. მომსახურების დროებითი შეჩერების (დაპაუზების) ყოველთვიური სავსესტრის შეადგენს 10 (ათ) ლარს;

4.4. მხარეებს შორის ხელმოწერილი მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის თარიღი წარმოადგენს მხარეებს შორის ფინანსური ანგარიშსწორების საწყის თარიღს.

4.5. პირველი თვის გადასახადის გადახდა წარმოებს მომსახურების ჩართვისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთ) სამუშაო დღეში, ხოლო მომდევნო თვეების სააბონენტო გადასახადის გადახდა წარმოებს წინასწარი გადახდის წესით, საანგარიშო თვის 10 რიცხვამდე, გლობალ ერთის მიერ აბონენტისთვის საანგარიშო თვის 3 რიცხვამდე წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. იმ შემთხვევაში თუ ნებისმიერი მესამე პირი უკანონოდ შეაღწევს აბონენტის საინფორმაციო სისტემაში, გლობალ ერთის თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, რადგან მისი ვალდებულება შემოიფარგლება მხოლოდ მონაცემების გადაცემით. აბონენტი პასუხისმგებელია საკუთარი საინფორმაციო სისტემის დაცვაზე მესამე პირის მიერ აღნიშნული სისტემის არალეგალური ხელყოფისაგან.

მუხლი 6. ფორსმაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ მათ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება გამოწვეულია მათთვის დაუძლეველი გარემოებების არსებობის გამო, რაც მოიცავს (მაგრამ არ იზღუდება) სტიქიურ უბედურებებს, სამოქალაქო ომს და ნებისმიერ საბრძოლო მოქმედებებს, ცვლილებებს კანონმდებლობაში და ა.შ.

მუხლი 7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 1 (ერთი) წლის ვადით, _____ წლის _____ წლის _____ ჩათვლით. თუ აბონენტი, ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე გლობალ ერთს წერილობით არ აცნობებს მისი შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულების მოქმედება გრძელდება იმავე პერიოდით.

7.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე, გლობალ ერთის მოთხოვნით, აბონენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან მომსახურების შეზღუდვიდან 60 (სამოცი) დღის ვადაში დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში;

7.3. აბონენტის მოთხოვნით ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერ დროს შეწყვეტის თარიღის დადგომამდე 30 დღით ადრე “გლობალ ერთში” გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

მუხლი 8. დავების გადაწყვეტა

8.1. მხარეები ყველა ღონეს იხმარენ, რათა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავები გადაწყდეს მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან მოქმედ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს ან სასამართლოს.

მუხლი 9. ზოგადი პირობები

- 9.1. ყველა ცვლილება, დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში ხორციელდება წერილობით, ძალაშია მხარეთა ხელმოწერისთანავე და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 9.2. აბონენტის დარღვეული თუ სადაოდ ქცეული უფლებების აღდგენის საფუძველს წარმოადგენს საჩივარი.
- 9.3. საჩივარი შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და გაგზავნილი იქნეს ელექტრონულ ფოსტის მისამართზე: info@global-erty.net ან საფოსტო მისამართზე ან დაფიქსირდეს ზეპირი ფორმით ცხელ ხაზზე: **243 91 43**;
- 9.4. გლობალ ერთი ვალდებულია საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს საჩივრის რეგისტრაციიდან 15 დღის ვადაში
- 9.5. აბონენტს უფლება აქვს საჩივარი წარადგინოს უშუალოდ გლობალ ერთის საჩივრების განხილვის სამსახურში ქ.თბილისი. ცოტნე დადიანის ქ.7, ბიზნეს ცენტრი ქარვასლა ბ 505/506;
- 9.6. მხარეები ვალდებული არიან დაიცვან მეორე მხარისაგან მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა, კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება არ ვრცელდება ინფორმაციაზე, რომლის მოპოვება შესაძლებელია საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, ასევე რომლის გამჟღავნებაც მოხდება მხარეთა მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით;
- 9.7. აბონენტი თანხმობას აძლევს გლობალ ერთს დაამუშავოს და გამოიყენოს მის შესახებ არსებული მონაცემები ისეთი მიზნებისთვის, როგორცაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, საკუთარი მარკეტინგული, ინფორმაციული ან სხვა დანიშნულების მქონე ინფორმაციის მიწოდება, დავა და სამართალწარმოება, კანონმდებლობის ან რეგულაციის მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- 9.8. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ პირად, მატერიალური ფორმით, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და გადაეცემა მხარეებს;
- 9.9. ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი #1 – მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

ს.ს. "გლობალ ერთი"

ს/კ 201949918

0101, თბილისი ცოტნე –დადიანის გამზ.7

ბიზნესცენტრი ქარვასლა, ბ 505/506

ელ.ფოსტა info@global-erty.net

საინფორმაციო –საცნობარო ნომერი/ცხელი ხაზი

243 91 43;

ს.ს. "გლობალ ერთი"-ს

გენერალური დირექტორი

გ. მაჩიტაძე